ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1665170

ნომერი: AR1270726

თარიღი : 05.12.2014

გაცემის თარიღი : 29.12.2014

გაცნობის თარიღი : 29.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფასანაური , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირინა კერესელიძე პ/ნ 01013000605
- თბილისი გრ.როზაქიძის გამზ. N 7 ბ. 35

ორგანიზაცია:
- არგო კონსტრაქშენი კოდი: 204565005

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გია ჭანჭალეიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „სტუდია 4“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205178546

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს „არგო კონსტრაქშენი“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204565005
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირინა კერესელიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01013000605

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1396725
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 21.07.2014

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 21 ივლისის №1396725 ბრძანებაში და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.
ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 21 ივლისს №1396725 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ფასანაურის ქ. N15–ში შ.პ.ს. "არგო კონსტრაქშენ"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 01 აგვისტოდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2014 წლის 5 დეკემბერს AR1270726 განაცხადით მოგვმართა მოქ. ირინა კერესელიძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით, 2014 წლის 21 ივლისის №1396725 ბრძანებაში და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.
სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 21 ივლისის №1396725 ბრძანებაში და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში. კერძოდ, "ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 21 ივლისის №1396725 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.